შესავალი სიტყვა რედაქტორისგან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტი დაარსდა 2007 წელს ევროკავშირის TACIS-ის პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანადგომით.

იმავე წელს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების პროფესორებისა და ექსპერტების მონაწილეობით, კერძოდ, გრენობლის პიერ მენდესის საფრანგეთის უნივერსიტეტის, ასევე ათენის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ბერძნული უნივერსიტეტისა და ავსტრიული რინსბრუკის საჯარო რეფორმების ცენტრისგან შემდგარი კონსორციუმის ჩართულობით შემუშავდა ამიერკავკასიაში პირველი ინტერდისციპლინარული ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში. პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა როგორც აღნიშნულ სფეროში ევროპის მოწინავე უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილებები, ასევე ბოლონიის პროცესის სტანდარტები და მიღწევები.

ინგლისურენოვანი მაგისტრატურა ევროპისმცოდნეობაში უნიკალურია იმდენად, რამდენადაც როგორც ინტერდისციპლინარული პროგრამა იგი კონცეპტუალურად ეფუძნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოთხ – ურიდიულ, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ ფაკულტეტებს, რათა სტუდენტებმა შეძლონ რყოვლისმომცველი განათლების მიღება ევროკავშირის შესახებ. სწორედ, ეს გახლდათ ევროკავშირის ამ უპრეცენდენტო პროექტის იდეა და მთავარი მიზანი, ხოლო მისმა წარმატებით განხორციელებამ ხელი შეუწყო იმას, რომ დაარსებისთანავე 2007 წელს ინსტიტუტმა მიიღო მაგისტრანტების პირველი ნაკადი.

ევროკავშირის ძალისხმევამ, ინგლისურენოვანი პროგრამის უნიკალურმა სტრუქტურამ და შინაარსმა, მოწვეულ პროფესორთა პროფესიონალიზმმა, ისევე როგორც კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მაღალმა დონემ და მათი დასაქმების შედეგებმა დიდად განსაზღვრა თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის, როგორც საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის წარმატებულობის ხარისხი.

ამასთან, ინსტიტუტმა წარმატებით დანერგა საჯარო შეხვედრების პრაქტიკა და ამით შესაძლებლობა გაუხსნა არა მხოლოდ ახალგაზრდებს, არამედ ფართო საზოგადოებას იმისათვის, რომ ევროინტეგრაციის პროცესში უშუალოდ ჩართულ პირებთან, მათ შორის პოლიტიკოსებთან, საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან და უცხოური აკადემიური წრეების გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად – საჯარო სივრცეში განეხილათ აქტუალური თეორიული თუ პრაქტიკული საკითხები, ყველა მათთვის საინტერესო კითხვა გაეჟღერებინათ და მოესმინათ პასუხები.

ამ ყველაფერმა და ზოგადად, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის აქტიურმა საქმიანობამ განაპირობა მნიშვნელოვანი გამოცდილების დაგროვება, რამაც ხელი შეუწყო მრავალი სტრატეგიული პარტნიორის შეძენას საზღვარგარეთ და მათთან ერთად ბევრი აკადემიური თვალსაზრისით ღირებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. სწორედ, ამ გამოცდილების და ექსპერტული ცოდნის საჯარო სივრცეში გაზიარების იდეა წარმოიშვა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, რაც დაგვირგვინდა 2011 წლის 1 თებერვალს ინსტიტუტსა და კომიტეტს შორის – ბატონი დავით დარჩიაშვილის ხელმძღვანელობით – ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებით, რაც

უპირველეს ყოვლისა გულისხმობდა იმას, რომ, რთი მხრივ, ინსტიტუტის ექსპერტები გააძლიერებდნენ კომიტეტს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესის წარმართვაში, ხოლო თავის მხრივ, კომიტეტი ინსტიტუტის აკადემიურ წრეებს უდიდეს პრაქტიკულ გამოციდლებას გაუზიარებდა ამ მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უდავოდ წინგადაგმული ნაბიჯი იყო საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში, რაც ასე წარმატებულად ვერ წარიმართებოდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის აქტიური ჩართულობა რომ არ ყოფილიყო.

2012 წელს კვლავაც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ENPI-ის ფარგლებში ენერგიულად დაიწყო ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე მუშაობა. დუბლინის თრინითის კოლეჯის, ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის, ავსტრიის გრაცის უნივერსიტეტისა და სლოვენიის უნივერსიტეტის პროფესორების უშუალო მონაწილეობითა და ექსპერტული მხარდაჭერით შემუშავდა პირველი ინგლისურენოვანი, ინტერდისციპლინური, სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა, სადაც ჩარიცხული სტუდენტების პირველი ნაკადის მაღალმა დონემ მოლოდინს გადააჭარბა. პირველის სემესტრის დახურვის შემდეგ დოქტორანტები კვლევითი მივლინებით იმყოფებოდნენ თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის პარტნიორ უნივერსიტეტებში, როგორიცაა ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი ბელგიაში, პოლონეთის იაგელონიის უნივერსიტეტი კრაკოვში, ტარტუს უნივერსიტეტი ესტონეთში, დუბლინის თრინითი კოლეჯი ირლანდიაში და სხვა.

ზემოთ აღნიშნულმა წარმატებებმა ახალ უმნიშვნელოვანეს ინიციატივებს დაუდო სათავე. ამ მხრივ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან წამოსული უნიკალური შემოთავაზება ინსტიტუტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების თაობაზე უდავოდ მომავალი მიღწევების ქვაკუთხედად უნდა განვიხილოთ. კერძოდ, 2014 წლის 27 ოქტომბერს მემორანდუმს ხელი მოაწერეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ბატონმა ალექსი პეტრიაშვილმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა პროფესორმა ვლადიმერ პაპავამ. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო და კვლევით კომპონენტებში აქტიურ თანამშრომლობასთან ერთად მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტთა პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის სტუდენტებს მისი არსებობის ისტორიაში პირველად შესაძლებლობა მიეცათ ყოველწლიურად პრაქტიკა გაიარონ სახელმწიფო მინისტრის აპარატში და შესაბამისად, უშუალოდ ჩაერთონ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის პროცესში. მინისტრისა და სახელმწიფო მინისტრის აპარატის ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომელიც ცალსახად კეთილ ნებას ეფუძნება უდავო წარმატებაა ე.წ. უმაღლესი განათლების მეშვეობით ევროინტეგრაციის ხელშეწყობის პროცესში.

თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტში რეგიონის საუკეთესო აკადემიური პერსონალისა და საერთაშორისო ექსპერტიზის აკუმულირებამ, ასევე ევროინტეგრაციის პროცესში ქვეყნის წამყვან სახელმწიფო და საკანონმდებლო სტრუქტურებთან თანამშრომლობამ, და ბოლოს, სადოქტორო პროგრამის დაარსებამ საფუძველი შეამზადა ქვეყანაში პირველი ორენოვანი ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალის დაარსებისთვის. ჩემი იდეა იყო ერთგვარი პლათფორმა შეგვექმნა იმ ახალგაზრდა და ასევე საერთაშორისო საზოგადოებაში უკვე კარგად ცნობილი მეცნიერებისთვის, რომლებიც საქართველოსა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირის თემატიკაზე აქტიურად მუშაობენ. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ ამ განზრახვის განხორციელება კვლავაც ევ-

როკავშირის მხარდაჭერით ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის დაარსების პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

დასასრულს, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის სახელით მადლობას ვუხდი სარედაქციო საბჭოს წევრებს მათ მიერ გაწეული ფასდაუდებელი სამუშაოსთვის, და აქ, განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს მასწავლებელსა და ხელმძღვანელს, თსუ ვიცე-რექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სრულ წევრს, აკადემიკოსს პროფესორ ლევან ალექსიძეს - მის მიერ ჩემთვის გამოცხადებული იმ დიდი ნდობისა და შთაგონებისთვის, რომელიც მუდამ მეხმარება წარმატებას მივაღწიო ჩემი პირადი აკადემიური კარიერის გზაზე. მადლობას ვუხდი ევროკავშირის დელეგაციის წევრებს, რომლებიც მუდამ მხარში გვედგნენ თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად ჩამოყალიბების რთულ პროცესში. რა თქმა უნდა დიდი მადლობა ჟურნალის სტატიების ავტორებს და თითოუეულ იმ ადამიანს, ვინც ევროპული კვლევების ინსტიტუტის განვითარებაში თავიანთი ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა, ვინც შესაძლებელი გახადა, რომ საინტერესო იდეები წარმატებულ რეალობად გადაქცეულიყო.

ნინო ლაპიაშვილი

თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი